

რატომ არ ჰყავს ქართულ ოცნებას პრეზიდენტობის კანდიდატი?

ანალიტიკური სტატია

გოგი ზოიძე

საქართველოს რეფორმების ასოციაცია | 2018

შესავალი

2018 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს მოსახლეობა ბოლოჯერ აირჩევს პრეზიდენტს პირდაპირი არჩევნების გზით. ამის მიზეზი, 2017 წელს განხორციელებული საკონსტიტუციო [ცვლილებები](#), რომლის მიხედვითაც, 2018 წლის შემდეგ, ყოველ მომდევნო პრეზიდენტს აირჩევს 300 წევრისგან შემდგარი საარჩევნო კოლეგია.

შემცირებული მხარდაჭერის მიუხედავად¹, ოპოზიციური ძალების სისუსტის, ასევე, პოლიტიკური პროცესებისადმი საზოგადოებაში გაზრდილი გულგრილობის ფონზე, მმართველი პარტია, რომელიც აკონტროლებს ადმინისტრაციულ რესურსებს, დიდი ალბათობით, შეძლებდა არჩევნებში გამარჯვებას. მიუხედავად ამისა, ქართული ოცნება უარს ამბობს პარტიიდან საკუთარი კანდიდატის წამოყენებაზე. პარტიის თავმჯდომარის, ბიძინა ივანიშვილის [განცხადებით](#), ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის უმჯობესია, რომ მომავალი პრეზიდენტი ქართული ოცნების რიგებიდან არ იყოს. მისი მოსაზრებით, პრეზიდენტად დამოუკიდებელი ან ოპოზიციის კანდიდატის გასვლა, ერთი მხრივ, დააბალანსებდა ოცნების ძალაუფლებას, რომელიც ფლობს საკონსტიტუციო უმრავლესობას პარლამენტში, ხოლო მეორე მხრივ, ხელს შეუწყობდა ქვეყანაში „პოლიტიკური ისტაბლიმენტის განვითარებას“.

პარტიის ლიდერის ამ შეხედულებას ქართულ ოცნებაში თავდაპირველად ბევრი მომხრე არ გამოუჩნდა, თუმცა, საბოლოოდ, გუნდმა [გაიზიარა](#) ივანიშვილის პოზიცია. შედეგად, პირველად ქვეყნის უახლეს ისტორიაში მმართველ ძალას პრეზიდენტობის საკუთარი კანდიდატი არ ეყოლება და ე.წ. დამოუკიდებელ კანდიდატს, სალომე ზურაბიშვილს დაუჭერს მხარს. არჩევნების მიმართ ხელისუფლების ამგვარმა დამოკიდებულებამ დაბნეულობა გამოიწვია, როგორც ამომრჩეველში, ასევე პოლიტიკურ ძალებში. საფუძვლიან კითხვებს აჩენს, ერთი მხრივ, ქართული ოცნების გადაწყვეტილების მოტივაცია და მეორე მხრივ, სალომე ზურაბიშვილი დამოუკიდებლობის ხარისხი.

რამდენად მნიშვნელოვანია ოცნებისთვის საპრეზიდენტო ძალაუფლება?

პრეზიდენტობის კანდიდატის არ დაყენებით, ქართული ოცნება ხაზს უსვამს ამ პოსტის ნაკლებ პოლიტიკურ მნიშვნელობას. ირაკლი კობახიძის [განცხადებით](#), „იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი გახდებოდა ოცნების პარტიული ლიდერი, კიდევ უფრო გაძლიერდებოდა ილუზია პრეზიდენტის ჭარბ უფლებამოსილებასთან დაკავშირებით“. შესაბამისად, მმართველი ძალის გადმოსახედიდან, პარტიული კანდიდატით საპრეზიდენტო არჩევნებში არ მონაწილეობა უფრო მეტი პოლიტიკური დივიდენდის მომტანია. ბუნებრივია, საპარლამენტო სისტემებში, პრეზიდენტის პოლიტიკური ძალაუფლება შეზღუდულია, თუმცა, საქართველოში პრეზიდენტის როლისა და ფუნქციების დასუსტებაში, თავად

¹ NDI-ის 2018 წლის მარტის გამოკითხვების მიხედვით, საპრეზიდენტო არჩევნებზე „ქართული ოცნების“ კანდიდატს გამოკითხულთა 12% დაუჭერდა მხარს.

იხილეთ: https://www.ndi.org/sites/default/files/NDI_March_2018_Public%20Presentation_Georgian_final.pdf

„ქართულმა ოცნებამაც“ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. აღნიშნული, ნაწილობრივ, მმართველ გუნდსა და გიორგი მარგველაშვილს შორის არსებული დაპირისპირებითაც იყო განპირობებული.

2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებმა მნიშვნელოვნად [შეზღუდა](#) პრეზიდენტის უფლებამოსილება. სახალხო კენჭისყრის წესის გაუქმების გარდა, რომელიც მომავალში შეამცირებს პრეზიდენტის ლეგიტიმაციის ხარისხს, განხორციელდა რიგი [ცვლილებები](#), რამაც პრეზიდენტი სახელმწიფოს ინსტიტუციურ მოწყობაში, დიდწილად, ნომინალურ ფიგურად აქცია. პირველ რიგში, აღნიშნული ეხება ეროვნული უშიშროების საბჭოს, როგორც კონსტიტუციური ორგანოს გაუქმებას და შესაბამისად, მასთან დაკავშირებული უფლებამოსილებების პრეზიდენტისთვის ჩარმორთმევას. გარდა ამისა, ფორმალური გახდა „მთავარსარდლის სტატუსიც“, რადგან პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრის წარდგინების გარეშე ვეღარ მიიღებს ისეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, როგორცაა საომარი და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება. ახალი კონსტიტუციით, პრეზიდენტი ვეღარ წარადგენს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს და ასევე, წელიწადში მხოლოდ ერთხელ შეეძლება პარლამენტში მოხსენების წარდგენა, რაც აქამდე ასე მკაცრად არ იყო განსაზღვრული.

გარდა საკონსტიტუციო ცვლილებებისა, მმართველი გუნდის მხრიდან პრეზიდენტის ინსტიტუტის დისკრედიტაცია ხშირად გამოხატული იყო პოლიტიკურ რიტორიკასა და ასევე სხვადასხვა გადაწყვეტილებებში. პრეზიდენტის [ვეტოების](#) მიმართ პარლამენტის დამოკიდებულება ამის კარგი მაგალითია. პარადოქსული და იმავდროულად კომიკურია, რომ პარლამენტს ხშირად უწევდა იმ მოტივირებული შენიშვნების გაზიარება, რომელსაც ის მანამდე ვეტოების დაძლევის პროცედურით უგულვებლყოფდა. მმართველ ძალასა და პრეზიდენტს შორის [პერსონიფიცირებულმა](#) დაპირისპირებამ ხელი შეუწყო პრეზიდენტის ინსტიტუტის დასუსტებასა და მარგინალიზაციას. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტი მარგველაშვილი მაინც ცდილობდა შეკავებისა და გაწონასწორების დემოკრატიული ფუნქციის შესრულებას. დაკნინებული სტატუსის მიუხედავად, პრეზიდენტის ინსტიტუტის მნიშვნელობა ამ მხრივ მაინც რჩება.

ამასთან, მარგველაშვილთან ურთიერთობის გამოცდილებამ კარგად აჩვენა, რომ მას შეუძლია აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის უსიამოვნებების შექმნა. ამ გამოცდილების გათვალისწინებით, ქართული ოცნებისთვის მნიშვნელოვანი იქნება აკონტროლებდეს პრეზიდენტის ინსტიტუტს. თუმცა, ამჯერად მმართველმა ძალამ ამ მიზნის მიღწევის განსხვავებული ფორმა შემოგვთავაზა, რასაც თავისი მიზეზები აქვს.

[რას იგებს ოცნება საკუთარი კანდიდატის არ დასახელებით?](#)

ქართული ოცნების გადმოსახედიდან, არჩევნებში პარტიული კანდიდატით მონაწილეობაზე უარის თქმის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის იმის დემონსტრირება, რომ ის ხელს უწყობს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესებისა და ინსტიტუტების განვითარებას. ამაზე მიუთითა

ბიძინა ივანიშვილმაც თავის ინტერვიუში. მისი თქმით, ევროპაში „ველურად მოჩანს“ ის ფაქტი, რომ ქართული ოცნების ხელშია კონცენტრირებული სრული ძალაუფლება, „გამგებლიდან დაწყებული პრემიერის ჩათვლით“, და საკონსტიტუციო უმრავლესობა პარლამენტში. ამ ფონზე, ცხადია პოლიტიკურად მომგებიანია, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ იმის ჩვენება, რომ მმართველი ძალა პარტიულ ინტერესებზე მაღლა ქვეყნის ინტერესებს აყენებს და ხელს უწყობს ქვეყანაში პოლიტიკური კლასისა და კულტურის განვითარებას.

რეალურად კი, პარტიულ კანდიდატზე და მით უმეტეს, თავად ბიძინა ივანიშვილის მონაწილეობაზე უარის თქმით, ოცნება თავიდან აირიდებს მოსახლეობასთან მწვავე საკითხებზე დისკუსიაში შესვლას და უსიამოვნო შეკითხვებზე პასუხის გაცემის ვალდებულებას. ხელისუფლებას კარგად ესმის, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილის მოლოდინები ოცნების მმართველობასთან დაკავშირებით არ გამართლდა. ამას ადასტურებს NDI-ის ბოლო [კვლევა](#), რომლის მიხედვითაც 2012 წლიდან დღემდე, დაახლოებით, 60%-დან 30%-მდეა შემცირებული გამოკითხულთა რაოდენობა, ვინც თვლის, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით ვითარდება. ამის საპირწონედ, გაზრდილია იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომელთათვის საქართველო საერთოდ არ იცვლება ან არასწორი მიმართულებით ვითარდება. ხელისუფლებისთვის საგანგაშო აღმოჩნდა UNICEF-ის 2017 წლის კვლევის [შედეგებიც](#), რომელმაც აჩვენა, რომ 2015 წლის შემდეგ სიღარიბის მაჩვენებელი გაიზარდა მოსახლეობის ყველა ჯგუფში, განსაკუთრებით კი ბავშვებში. იმ ფონზე, როცა მმართველი ძალა ვერ ახერხებს ეკონომიკურ პრობლემებთან წარმატებით გამკლავებას, ხოლო მმართველსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობა კი ვერანაირ კრიტიკას ვეღარ უძლებს, ოცნების მყარი პოზიციები ჯერ-ჯერობით, დიდწილად ოპოზიციური ველის სისუსტით და არა „ქართული ოცნების“ მიმართ ძლიერი მხარდაჭერით აიხსნება.

რას აგებს ქართული ოცნება საკუთარი კანდიდატის არ დასახელებით?

პარტიული კანდიდატის არ დაყენება ქართული ოცნებისათვის გარკვეული რისკების მატარებელიცაა. პირველ რიგში, ამით ოცნება ზრდის ოპოზიციური პარტიის კანდიდატის გამარჯვების შანსებს. დღეისათვის, ოცნების ხელისუფლების უმთავრეს პოლიტიკურ ოპონენტებს ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ევროპული საქართველო წარმოადგენს. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე აღნიშნული პარტიის კანდიდატი შეძლებს არჩევნებში გამარჯვებას, პრეზიდენტის შეზღუდული უფლებამოსილების მიუხედავად, ის შეეცდება ოცნებისგან დამოუკიდებელი ძალაუფლების ცენტრის შექმნას.

მეორე რისკი უკავშირდება საკუთრივ ქართული ოცნების გუნდის ერთიანობის საკითხს. ბიძინა ივანიშვილმა ინტერვიუშიც აღნიშნა, რომ თავის პოზიციას ოცნებას არ ჰყოლოდა პრეზიდენტობის კანდიდატი, თავდაპირველად თითქმის მთელი გუნდი შეეწინააღმდეგა. საბოლოოდ, ივანიშვილის პოზიცია „გაზიარებულ“ იქნა, თუმცა, გუნდში კვლავ დარჩნენ ისეთებიც, რომლებიც [მიიჩნევენ](#), რომ მმართველი ძალა არჩევნებში საკუთარი კანდიდატით უნდა წარმდგარიყო. როგორც ჩანს, აღნიშნული ჯგუფის პოზიციებიც საკმაოდ ძლიერი იყო,

რაზეც მეტყველებს გაჭიანურებული შიდა დისკუსიები და მმართველი ძალის წარმომადგენლების არათანმიმდევრული [განცხადებები](#) გუნდის საბოლოო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. რეალურად, ბიძინა ივანიშვილი, რომელიც ქართული ოცნების მთავარი გამაერთიანებელია, ამ შემთხვევაში გვევლინება გუნდის შიგნით აზრთა სხვადასხვაობის წყაროდ, რაც გამოწვევაა გუნდისთვის, რომელსაც არ გააჩნია გამოკვეთილი ღირებულებითი და იდეოლოგიური საყრდენები.

ქართულმა ოცნებამ გარკვეული დაბნეულობა შეიტანა საკუთარ ამომრჩეველშიც. ბევრისთვის გაუგებარი დარჩა მმართველი გუნდის პოზიცია, ხოლო ნაწილი მიიჩნევს, რომ ქართულ ოცნებას საკუთარი კანდიდატი უნდა დაესახელებინა. მიუხედავად იმისა, რომ მმართველი ძალა არჩევნებში პირდაპირ არ მონაწილეობს, საზოგადოება მაინც დააკისრებს მას პასუხისმგებლობას არჩევნების შედეგზე, რადგან სწორედ საკუთარ კანდიდატზე უარის თქმა იქნება ამ შედეგის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი.

სალომე ზურაბიშვილი - დამოუკიდებელი კანდიდატი?!

საპრეზიდენტო კანდიდატთან დაკავშირებით ქართული ოცნება თავის პოზიციას 8 სექტემბრის შემდეგ [განაცხადებს](#), თუმცა აშკარაა, რომ ის მხარს სალომე ზურაბიშვილს დაუჭერს. მიუხედავად იმისა რომ სალომე ზურაბიშვილი ფორმალურად პარტიის წევრი არ არის, **რეალურად, ის, არა დამოუკიდებელი, არამედ ქართული ოცნების კანდიდატია.** ეს არ იქნება ქართულ ოცნებასა და სალომე ზურაბიშვილს შორის ამ ტიპის თანამშრომლობის პირველი პრეცედენტი. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ხელისუფლებამ მთაწმინდის ოლქში საკუთარი კანდიდატი არ დააყენა და მხარი სწორედ ზურაბიშვილს [დაუჭირა](#).

ზურაბიშვილის კანდიდატურის დასახელებამ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით ზურაბიშვილის მიერ გაკეთებული სახელმწიფოსთვის დამაზიანებელი განცხადებების გამო ოცნების გუნდის [ნაწილმა](#) გაზედა და სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა მისი მხარდაჭერის საკითხი და განაახლა [დისკუსიები](#) საკუთარი კანდიდატის წამოყენების შესაძლებლობაზე.

არსებული რეიტინგისა თუ პოლიტიკური წონის გათვალისწინებით, ქართული ოცნების მხარდაჭერის გარეშე, სალომე ზურაბიშვილს არჩევნებში გამარჯვების შანსი არ გააჩნია. ეს კარგად ესმის თავად ზურაბიშვილსაც და ბუნებრივია, ის საკუთარ კანდიდატურას ამ მხარდაჭერის დაპირების გარეშე არც დააყენებდა. სანაცვლოდ, ქართული ოცნებაც ზურაბიშვილისგან მმართველი გუნდის მიმართ სრულ ლოიალობას მოეღოს. ამ მოლოდინს ბიძინა ივანიშვილის პიროვნების ლოიალობის გარდა, ოცნებას პარლამენტში ზურაბიშვილთან „პარმონიული“ მუშაობის ორწლიანი გამოცდილებაც უჭენს, რამაც ფაქტობრივად „მარგველაშვილის ფენომენის“ განმეორების შესაძლებლობა უნდა გამოიციხოს.

დემოკრატია თუ დემოკრატიის ილუზია?

ქართული ოცნება პრეზიდენტობის კანდიდატის არდასახელების მთავარ მიზეზად დემოკრატიული პროცესების განვითარების ხელშეწყობას ასახელებს. ლოგიკა შემდეგნაირია: თუ საპრეზიდენტო სავარძელს დაიკავებს მმართველი გუნდისგან დამოუკიდებელი კანდიდატი, მივიღებთ უფრო დემოკრატიულ სისტემას. სხვა სიტყვებით, ძალაუფლება არ იქნება კონცენტრირებული ერთი ძალის ხელში, ხოლო სახელისუფლებო შტოების სხვადასხვა ძალის მიერ კონტროლი ხელს შეუწყობს პოლიტიკური პლურალიზმის განვითარებას.

დემოკრატიაზე საუბარი იმთავითვე არასერიოზულია იმ ფონზე, როცა ქართული ოცნების უმრავლესობის სურვილს, გუნდს პარტიული კანდიდატი ყოლოდა, ბიძინა ივანიშვილის ერთპიროვნულმა გადაწყვეტილებამ სძლია. თუმცა, ამ შემთხვევაში, საქმე სხვა რამეშია: ძალაუფლების კონცენტრაცია ერთი პოლიტიკური ძალის ხელში, მით უმეტეს, თუ მისი კონცენტრირება მოხდა მოქალაქეების არჩევანის შესაბამისად, თავისთავად არ ნიშნავს სისტემის არადემოკრატიულობას. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ისაა, რომ პოლიტიკური ძალა, რომელიც წარმოდგენილია რომელიმე სახელისუფლებო შტოში, ძალაუფლებას ახორციელებდეს დემოკრატიული პრინციპების მიხედვით. შესაბამისად, პრეზიდენტი ქართული ოცნების კანდიდატი იქნებოდა თუ არა, ამას დემოკრატიისთვის არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნია. ამ შემთხვევაში ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია, რამდენად შეძლებდა მომავალი პრეზიდენტი ჯეროვნად შეესრულებინა კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებამოსილებები.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ოცნება ვალდებული არ იყო, საკუთარი კანდიდატი დაესახელებინდა, დემოკრატიის ლოგიკის თვალსაზრისით, უფრო მართებული იქნებოდა მოქალაქეებს ჰქონოდათ იმ პარტიის კანდიდატის მხარდაჭერის ალტერნატივა, რომელიც ორი წლის წინ საკონსტიტუციო უმრავლესობით აირჩიეს პარლამენტში. **თუმცა ქართულმა ოცნებამ თავი აარიდა პარტიული კანდიდატით წინასაარჩევნო კამპანიაში ჩაბმას და მოსახლეობისთვის მწვავე საკითხებზე ანგარიშის ჩაბარებას.** ამის სანაცვლოდ, მმართველი ძალა მხარს დაუჭირს კანდიდატს, რომლის დამოუკიდებლობა სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დგას და რომელიც ქართულ ოცნებასთან უფრო მეტად იქნება ანგარიშვალდებული, ვიდრე ხალხთან.